თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№2

ქ. ქუთაისი 27 მაისი 2013 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ამირან ძოწენიძე – ქ. ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარე.

ანდრო მაღლაკელიძე –ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.

ლევან ჭანჭალეიშვილი –ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.

ვასილ მებურიშვილი –ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტური სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი

ირაკლი გიორგაძე – ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში ახალი ღვარსადენების და არსებულის აღდგენა-რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების განხილვის შესახებ. (საკონკურსო განცხადების №784. 23.05.2013)

განხილვა: საკონკურსო კომისიის წევრმა ანდრო მაღლაკელიძემ კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა: შ.პ.ს „სასამართლო ექსპერტიზის არქიტექტურისა და მშენებლობის ეროვნული ცენტრმა“ – 5500 (ხუთი ათას ხუთასი) ლარზე დღგ-ს გარეშე.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით საკონკურსო წინადადებების და საკონკურსო ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის ვადათ განისაზღვრა 2013 წლის 27 მაისის 13:00 საათამდე პერიოდით.

1. შ.პ.ს „სასამართლო ექსპერტიზის არქიტექტურისა და მშენებლობის ეროვნული ცენტრი“-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ – ამირან ძოწენიძემ.
კომისიის წევრებმა: ვასილ მებურიშვილმა და ირაკლი გიორგაძემ.

ამის შემდეგ განხორციელდა კონკურსანტის შეფასება.

შ.პ.ს „სასამართლო ექსპერტიზის არქიტექტურისა და მშენებლობის ეროვნული ცენტრმა“ მიიღო 32,2 ქულა.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ – ამირან ძოწენიძემ.
კომისიის წევრებმა: ლევან ჭანჭალეიშვილმა და ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს: 1. საკონკურსო კომისიის შეფასებიდან გამომდინარე ქალაქ ქუთაისში ახალი ღვარსადენების და არსებულის აღდგენა-რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს „სასამართლო ექსპერტიზის არქიტექტურისა და მშენებლობის ეროვნული ცენტრი“.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურმა (ლევან ჭანჭალეიშვილი) გამოყოს სათანადო უფლებამოსილი პირები და უზრუნველყონ ,,შემსყიდველსა" და ,,მიმოწოდებელს" შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება–ჩაბარება დადგენილი წესის მიხედვით.

3. საკონკურსო კომისიამ კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ამირან ძოწენიძე

კომისიის წევრები:

ანდრო მაღლაკელიძე

ლევან ჭანჭალეიშვილი

ვასილ მებურიშვილი

ირაკლი გიორგაძე